ირანი და გარესამყარო „ბირთვული შეთანხმების“ შემდეგ

გიორგი ჩოლოყაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (პოლიტიკის მეცნიერებები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

გიორგი ჩოლოყაშვილი

24.06.2016

აბსტრაქტი

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ირანის ბირთვული პოლიტიკა და მისი გავლენა გარესამყაროზე, რომელიც ბირთვული შეთანხმების შემდეგ ახალ ფაზაში გადავიდა და შემდეგ ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი წამოჭრა.

კვლევაში განხილულია: ირანის ბირთვული პროგრამის დაწყება, ბირთვული შეთანხმების მიღწევა მთელი თავისი სირთულეებით და შეთანხმების შემდეგ შექმნილი მდოგმარეობის ანალიზი როგორც ირანის შიდასახელმწიფოებრივ, ისე საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე.

ნაშრომის მნიშვნელობა მდგომარეობს შემდეგში: ირანი საუკუნეების მანძილზე ახდენდა გავლენას საქართველოზე და მის პოლიტიკურ აქტივობაზე, მას შემდეგ რაც რეგიონში გაჩნდა რუსეთი, ირანის როლი მკვეთრად შესუსტდა. თუმცა ირანსა და „დიდ ექვსეულს“ შორის 2015 წელს გაფორმებულმა ბირთვულმა შეთანხმებამ დასაბამი მისცა ირან-საქართველოს ურთიერთობის ახალ - ძალზედ საინტერესო ეტაპს. ამიტომ ვთვლი, რომ ამ საკითხზე ცნობადობის ამაღლება მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებისათვის.

ამ თემის შესწავლა საინტერესო უნდა იყოს, როგორც პრაქტიკოსი პოლიტიკოსებისთვის, ისე პოლიტიკის მეცნიერებით დაინტერესებული პირებისთვის. საკითხის ინტესივობიდან გამომდინარე შესაძლებელია ჟურნალიტების დაინტერესებაც აღნიშნული ნაშრომით.

საკვანძო სიტყვები: ირანი, შეთანხმება, ბირთვული პროგრამა

Abstract

The object of a research is a nuclear policy of Iran and its' influence on the rest of the world, which has transacted to the new phase after the nuclear deal, with a lot of important issues to deal with.

In research, following issue have been discussed: the beginning of nuclear program by Iran, reaching the nuclear agreement, with all of its' difficulties and analysis of the situation afterwards, from the point of domestic and foreign policy.

The importance of the work lies in following: during the centuries Iran had an influence on Georgian policy and its' activities, after Russia has arise in the region, the role of Iran has decreased significantly. However, the agreement of 2015 between Iran and G-6 has given a start to a new, very interesting level to the Georgia-Iran relationship. Thus, I think it is very important to raise awareness of our citizens on this subject.

Study of this topic should be interesting for politicians, as well as the ones, who are interested in political science. Proceeding the intensity of the subject, it is possible to make it interesting for journalists as well.

Key words: Iran, Deal, Nuclear Program.

მადლობა

აღნიშნული კვლევის პროცესის სწორად წარმართვაში დამეხმარნენ ჩემი მეგობრები და კოლეგები, რომლებსაც მსურს დიდი მადლობა გადავუხადო.

განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს პროფესორ გიორგი სანიკიძეს. მან კვლევის ყველა ეტაპზე შემომთავაზა ძალზედ მნიშვნელოვანი რჩევები და შესაძლებლობა მომცა სწორი ფოკუსირება მომეხდინა განსახილველ საკითხებზე.

ასევე მსურს დიდი მადლობა გადავუხადო ისტორიკოს სიმონ მასხარაშვილს, რომელიც დამთანხმდა ინტერვიუზე და აღნიშნულ თემაზე საკუთარი, მეტად საინტერესო შეხედულებები გამაცნო.